



## საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობები

**პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)**

საერთაშორისო ურთიერთობები/International Relations

**უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური**

ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად), კვალიფიკაციის კოდი**

საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი/Bachelor of International Relations, კოდი: 0312

**სწავლების ენა**

ქართული

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტუდენტთა ზღვრული ოდენობა**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე საქართველოს მოქალაქეების ჩარიცხვის წინაპირობაა:

**ერთიანი ეროვნული გამოცდები:**

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, კანონმდებლობით დადგენილი ყველა წესის გათვალისწინებით.

პროგრამაზე სწავლა, ასევე, შესაძლებელია მობილობის ორი კომპონენტის (შიდა და გარე) დახმარებით: გარე მობილობის შემთხვევაში აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად. შიდა მობილობის შემთხვევაში, ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრება 100 სტუდენტით.

დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, ასევე, შესაძლებელია, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: [www.sangu.edu.ge](http://www.sangu.edu.ge).

**პროგრამის სტრუქტურა და სწავლის ხანგრძლივობა**

პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა 4 წელი.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 ECTS კრედიტი.

**პროგრამა მოიცავს:**

- საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნებს 36 კრედიტის მოცულობით (აკადემიური წერა, თანამედროვე საოფისე ტექნოლოგიები და ინგლისური ენის B2 დონეზე შესწავლა).
- სპეციალობის 17 სავალდებულო კურსს, რომელიც შეადგენს 108 კრედიტს (სავალდებულო კურსებში შედის სტუდენტის პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულება).
- სპეციალობის არჩევით კურსებს, სადაც სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 12 კრედიტისა.
- დარჩენილი კრედიტები სტუდენტს შეეძლება შეავსოს სპეციალობის თავისუფალი არჩევითი კურსებიდან ან აითვისოს დამატებითი (minor) სპეციალობა წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვა სპეციალობებიდან.

**შენიშვნა:**

- ✓ სტუდენტები უცხო ენის ჯგუფებში ჩაირიცხებიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების საფუძველზე და შესაბამისი დონიდან დაიწყებენ სწავლას.
- ✓ სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში ჩარიცხვისას წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს, კერძოდ: FCE, IELTS, TOEFL, TOEFL CBT, TOEFL IBT გათავისუფლდებიან უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლების ვალდებულებისაგან. პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული უცხო ენისათვის განკუთვნილ კრედიტებს კი დააგროვებენ არჩევითი სასწავლო კურსების გავლით.
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, ენების ცენტრის გადაწყვეტილებით, სტუდენტებს ჩაუტარდებათ დონის დასაადგენი ტესტირება. ინგლისური ენის სავალდებულო კომპონენტში დასაგროვებელი კრედიტები სტუდენტებისათვის განისაზღვრება არაუმეტეს 30 კრედიტით.

**პროგრამის ხელმძღვანელები:**

**თორნიკე შურდულაია**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი.

ტელ. +995 514434344; ელ. ფოსტა: t.shurghulaia@sangu.edu.ge

**მაია მანჩხაშვილი**, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ტელ. +995 557323227; ელ. ფოსტა: m.manckhashvili.1@sangu.edu.ge

**პროგრამის მიზნები:**

1. მოამზადოს საერთაშორისო ურთიერთობების კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ექნება ფართო თეორიული ცოდნა: საერთაშორისო პოლიტიკაზე მოქმედი ფაქტორებისა და ინსტიტუტების შესახებ; მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის, ტრადიციული და თანამედროვე (ციფრული) დიპლომატიის, საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ეროვნული უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების შესახებ.
2. გამოუმუშაოს სტუდენტს საერთაშორისო ურთიერთობების პროფილისათვის დამახასიათებელი ანალიტიკური, პრაქტიკული, კვლევითი და კომუნიკაციის უნარები.
3. განუვითაროს სტუდენტს სამოქალაქო და პოლიტიკური პასუხისმგებლობის უნარი, როგორც თავისი ქვეყნის, ისე საერთაშორისო საზოგადოების წინაშე.

**სწავლის შედეგები:**

შედეგი 1. აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს, პრინციპებსა და ცნებებს იმ ფართო ცოდნის საფუძველზე, რომელიც პროგრამაზე სწავლის პროცესში მიიღო.

შედეგი 2. მოიძიებს საჭირო ინფორმაციას, დოკუმენტაციასა და სამეცნიერო სიახლეებს საერთაშორისო ბაზებიდან/ბიბლიოთეკებიდან მოხსენებებისა და პრეზენტაციების მოსამზადებლად.

შედეგი 3. ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული ინსტიტუციური, პოლიტიკური, დიპლომატიური, სამართლებრივი, ეკონომიკური და ინტეგრაციული პროცესების იდენტიფიცირებას.

შედეგი 4. აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებულ გამოწვევებს, მათ შორის, მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, შესაძლო შედეგებს და აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს.

შედეგი 5. ამზადებს ანალიტიკური და სხვა სახის ნაშრომებსა და დოკუმენტებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე, მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

შედეგი 6. მონაწილეობს საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური საკითხების განხილვასა და დისკუსიებში.

შედეგი 7. გეგმავს უწყვეტ პროფესიულ და კარიერულ განვითარებას.

შედეგი 8. იზიარებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დამკვიდრებულ ეთიკის ნორმებს და მათი გავრცელების ხელშეწყობის პასუხისმგებლობას.

### **სწავლა-სწავლების ფორმები და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები**

**სწავლების მეთოდები** – ლექცია, სემინარი, ელექტრონული სწავლება (ელექტრონული კონსულტაცია), სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა და კონსულტაცია.

**სწავლების აქტივობები (შედეგების მიღწევის მეთოდები):** ახსნა–განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა; როლური და სიტუაციური თამაშები, შემთხვევის ანალიზი, ქვიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

**სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ფორმები:** შუალედური შეფასება (ყოველკვირეული დავალებისა და პრეზენტაციის შეფასება, შუალედური გამოცდა) და დასკვნითი გამოცდა. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმებს.

**სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მეთოდები:** პრეზენტაცია, დისკუსია, ტესტირება, პრაქტიკული/თეორიული წერიტი დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა.

### **სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა**

კრედიტის მოპოვება შესაძლებელია სტუდენტის მიერ მხოლოდ შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ სტუდენტის მაქსიმალური საბოლოო შეფასება 100 ქულის ტოლია. საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს:

შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

დადებითი შეფასებები:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასებები:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. შენიშვნა: დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული

შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური გამოცდა ტარდება მე-8-მე-9 სასწავლო კვირების განმავლობაში.

პრეზენტაციები ტარდება პირველი შუალედური გამოცდის დასრულებიდან დასკვნით გამოცდამდე პერიოდში.

დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება მე-16-მე-19 სასწავლო კვირების განმავლობაში.

დამატებითი გამოცდა ჩატარდება დასკვნითი შეფასების გაცნობიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.

## **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში.

## **დასაქმების სფეროები**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ შესაბამისი ცოდნა და უნარები, რომ დასაქმდნენ: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში; სახელმწიფო და კერძო სექტორში; საქართველოში არსებულ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებში, არასამთავრობო სტრუქტურებში, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში; თვითმმართველობის სამხარეო, ადგილობრივი და მუნიციპალური ერთეულების წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში; მასმედიაში და საერთაშორისო პროფილის რედაქციებში.

## **საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი**

პროგრამის განხორციელება დაგეგმილია სანგუ-ს ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება შემდეგი მატერიალური რესურსებით: უნივერსიტეტის აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, ტექნიკური აპარატურა (კომპიუტერები, ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი და სხვ.).

უნივერსიტეტის აუდიტორიები სათანადოაა აღჭურვილი. თითოეულ მათგანში განთავსებულია კომპიუტერები, სასწავლო და ჭკვიანი დაფები, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე კომპიუტერული ლაბორატორია, საკმარისი რაოდენობის კომპიუტერებითა და სათანადო პროგრამული მხარდაჭერით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, რომელიც აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით (კომპიუტერები, სკანერისა და ასლების გადამღები აპარატები), ელექტრონული კატალოგით და უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ქსელით.

უნივერსიტეტი ფლობს დისტანციური (მათ შორის ონლაინ) სწავლების პროგრამული საშუალებების ლიცენზიებს და აქვს ამ პრაქტიკის კარგი გამოცდილება.

უნივერსიტეტში არის სპეციალურად გამოყოფილი სტუდენტური სივრცეები.

უნივერსიტეტს აქვს სათანადოდ აღჭურვილი რამდენიმე საგამოცდო დარბაზი. ფუნქციონირებს სპორტული დარბაზი და კაფეტერია.

**დანართი 1 - სემესტრული გეგმა**

საუნივერსიტეტო და სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები

სემ.	წინაპირობა	სასწავლო კურსი	კრ.	ლექტორი
1	არ აქვს	აკადემიური წერა	3	თინათინ თურქია
	არ აქვს	ინგლისური ენა A1	6	
	არ აქვს	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	6	მაია მანჩხაშვილი
	არ აქვს	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	6	თორნიკე შურდულაია
	არ აქვს	ქართული დიპლომატია 1	6	გელა ქისტაური
2	არ აქვს	თანამედროვე საოფისე ტექნოლოგიები	3	ნინო თოფურია
	ინგლისური ენა A1	ინგლისური ენა A2	6	
	ქართული დიპლომატია 1	ქართული დიპლომატია 2	6	ვანტანგ გურული
	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	6	ნატო სონღულაშვილი
	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	საერთაშორისო ორგანიზაციები	6	თორნიკე შურდულაია
3	ინგლისური ენა A2	ინგლისური ენა B1	6	
	არ აქვს	საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 1	6	ნატო სონღულაშვილი
	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	დიპლომატიური ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	6	გურამ ჯოლია
	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	6	მაია მანჩხაშვილი
		არჩევითი საგანი	6	
4	ინგლისური ენა B1	ინგლისური ენა B2	12	
	საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 1	საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 2	6	გელა ცაავა
	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	6	გურამ ჯოლია
		არჩევითი საგანი	6	
5	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	საერთაშორისო სამართალი	6	დავით გეფერძე
	არ აქვს	სოციალური და პოლიტიკური ფსიქოლოგია	6	ნონა ახალაშვილი
		არჩევითი საგნები	18	

6	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	შედარებითი პოლიტიკა	6	მაია მანჩხაშვილი
	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	პოლიტიკური ფილოსოფია	6	გიორგი გრიგოლაშვილი
		არჩევითი საგნები	18	
7		არჩევითი საგნები	30	
8	1. შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში 2. კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	პროფესიული პრაქტიკა	6	-თომას ჯეფერსონის კვლევითი ცენტრი; -თსუ „საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტი“
	პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები	საბაკალავრო ნაშრომი	12	
		არჩევითი საგნები	12	

**სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (სავალდებულოა 12 კრედიტის დაგროვება)<sup>1</sup>**

წინაპირობა	სასწავლო კურსი	კრედიტი	ლექტორი
არ აქვს	ჰიბრიდული ომები	6	ნიკა ჩიტაძე
არ აქვს	სეპარატიზმი თანამედროვე მსოფლიოში	6	კონსტანტინე ვეკუა
არ აქვს	დემოკრატია და მოქალაქეობა	6	ეკა დარბაიძე
არ აქვს	საქართველო_აშშ-ს ურთიერთობები	6	თორნიკე შურდუღია
არ აქვს	საერთაშორისო ტერორიზმი	6	გელა ცაავა
არ აქვს	სახელმწიფოს კრიზისული სიტუაციების მართვა	6	გელა ცაავა
არ აქვს	ციფრული დიპლომატია	6	ნიკა ჩიტაძე
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	რელიგია და საერთაშორისო ურთიერთობები	6	ქრისტინე მაჭარაშვილი
არ აქვს	ნატო-ს როლი მსოფლიო პოლიტიკაში	6	ნიკა ჩიტაძე
არ აქვს	კონფლიქტების ანატომია	6	გელა ცაავა
არ აქვს/English B2	ეროვნული უსაფრთხოება და დაზვერვა (ქართულ/ინგლისურ ენებზე)	6	თორნიკე შურდუღია
არ აქვს	საგარეო პოლიტიკის ანალიზი	6	ირაკლი ჯავახიშვილი

<sup>1</sup> სპეციალობისა და თავისუფალი არჩევითი კურსების არჩევა სტუდენტს შეუძლია ნებისმიერ სემესტრში.

თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები<sup>2</sup>

წინაპირობა	სასწავლო კურსი	კრედიტი	ლექტორი
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში/English B2	ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა (ქართულ/ინგლისურ ენებზე)	6	ირაკლი ჯავახიშვილი
არ აქვს	რუსეთის საგარეო პოლიტიკა	6	გელა ცაავა
არ აქვს	თურქეთის საგარეო პოლიტიკა	6	მაია მანჩხაშვილი
არ აქვს	გეოპოლიტიკა	6	ნიკა ჩიტაძე
არ აქვს	პოლიტიკური იდეოლოგიები	6	მაია მანჩხაშვილი
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა	6	ქრისტინე მაჭარაშვილი
არ აქვს	პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში	6	ეკა დარბაიძე
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	სკანდინავიის ქვეყნების პოლიტიკა	6	ქრისტინე მაჭარაშვილი
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	ვიშეგრადის ქვეყნების პოლიტიკა	6	ქრისტინე მაჭარაშვილი
არ აქვს	აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები	6	თორნიკე შურდუღია
არ აქვს	პოლიტიკური კულტურა	6	ნატო სონდულაშვილი
არ აქვს	ერები და ნაციონალიზმი	6	გელა ცაავა
არ აქვს	ანალიტიკური აზროვნების შესავალი	6	ირაკლი ბრაჭული
არ აქვს	საზოგადოების ციფრული ტრანსფორმაცია	6	გურამ ჯოღია
არ აქვს/English B2	საერთაშორისო მიგრაცია (ქართულ/ინგლისურ ენებზე)	6	ემილია ალავერდოვი
არ აქვს	ჩინეთის საგარეო პოლიტიკა	6	ნიკა ჩიტაძე
არ აქვს	საქართველოს საგარეო პოლიტიკა	6	ნიკა ჩიტაძე
არ აქვს	აშშ-ს საგარეო პოლიტიკა	6	თორნიკე შურდუღია
არ აქვს	მორეული აღმოსავლეთის საგარეო პოლიტიკა XIX-XX საუკუნეებში	6	ჯაბა მესხიშვილი
არ აქვს	მასმედია და საერთაშორისო ურთიერთობები	6	ნატო სონდულაშვილი
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები	6	მაია მანჩხაშვილი

<sup>2</sup> სასწავლო კურსების ამ სახით შეთავაზებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. სტუდენტს, ასევე, შეუძლია საკუთარი ინტერესის შესაბამისად გაიაროს ნებისმიერი სხვა სასწავლო კურსი/კურსები, თუ აკმაყოფილებს კურსზე დაშვების წინაპირობას. სტუდენტს შეუძლია დამატებითი სპეციალობის ნაცვლად შეარჩიოს სხვა სასწავლო კურსები.

არ აქვს	საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური საკითხები	6	ეკა დარბაიძე
---------	--	---	--------------

**მეორე უცხო ენა:** თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები

არ აქვს	ფრანგული ენა A1	6	
ფრანგული ენა A1	ფრანგული ენა A2	6	
ფრანგული ენა A2	ფრანგული ენა B1	6	
ფრანგული ენა B1	ფრანგული ენა B2	12	
არ აქვს	გერმანული ენა A1	6	
გერმანული ენა A1	გერმანული ენა A2	6	
გერმანული ენა B1	გერმანული ენა B1	6	
გერმანული ენა B2	გერმანული ენა B2	12	
არ აქვს	ჩინური ენა A1	6	
ჩინური ენა A1	ჩინური ენა A2	6	
ჩინური ენა A2	ჩინური ენა B1	6	
ჩინური ენა B1	ჩინური ენა B2	12	

**დანართი 2 - სწავლის შედეგების რუკა**

სასწავლო კომპონენტი	პროგრამის სწავლის შედეგი							
	1	2	3	4	5	6	7	8
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	1		1	1				2
პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	1		1	1				2
ქართული დიპლომატია 1		2	3	3	2	3	2	3
ქართული დიპლომატია 2		2	3	3	2	3	2	3
კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში		1-2			2-3			3
საერთაშორისო ორგანიზაციები	1	2	3	3	3	3	3	3
საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 1	2	2	3	3	2	2	3	3
საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 2	2	2	3	3	2	2	3	3



საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები		2	2	2	1	2		2
დიპლომატიური ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	3	3	3	3	3	3	3	3
საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	2	3	3	3	3	3	3	3
საერთაშორისო სამართალი	1	2	2	2	1	1	2	2
სოციალური და პოლიტიკური ფსიქოლოგია			2	2		1	2	2
შედარებითი პოლიტიკა	1-2	3	3	3	3	3	2	3
პოლიტიკური ფილოსოფია			2	2		1	2	2
აკადემიური წერა		2			2			2
თანამედროვე საოფისე ტექნოლოგიები		2			2			2

**დანართი 3 - პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა**

	პროგრამის სწავლის შედეგები							
	შედგენი 1	შედგენი 2	შედგენი 3	შედგენი 4	შედგენი 5	შედგენი 6	შედგენი 7	შედგენი 8
პროგრამის მიზნები								
მომზადდოს საერთაშორისო ურთიერთობების კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ექნება ფართო თეორიული ცოდნა: საერთაშორისო პოლიტიკაზე მოქმედი ფაქტორებისა და ინსტიტუტების შესახებ; მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის, ტრადიციული და თანამედროვე (ციფრული) დიპლომატიის, საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ეროვნული უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების შესახებ.	✓		✓	✓		✓	✓	✓
გამოუმუშაოს სტუდენტს საერთაშორისო ურთიერთობების პროფილისათვის დამახასიათებელი ანალიტიკური, პრაქტიკული, კვლევითი და კომუნიკაციის უნარები.		✓	✓	✓	✓			✓

განუვითაროს სტუდენტს სამოქალაქო და პოლიტიკური პასუხისმგებლობის უნარი, როგორც თავისი ქვეყნის, ასევე, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე.			✓	✓			✓	✓
---	--	--	---	---	--	--	---	---

**დანართი 4 - სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები**

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება განხორციელდება პერიოდულად, სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ, შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. შეფასებისას განისაზღვრება, რამდენად მიაღწია სტუდენტმა და/ან კურსდამთავრებულმა დაგეგმილ სწავლის შედეგებს, რაც დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ა) პროგრამის შესაბამის კომპონენტში შეფასების კონკრეტული მეთოდით; ბ) კურსდამთავრებულთა თვითშეფასებით (როგორ შეაფასებენ თავად მათ მიერ მიღწეულ შედეგებს); გ) დამსაქმებლების მიერ კურსდამთავრებულების უნარების შეფასებით; დ) კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულებით; ე) საბაკალავრო ნაშრომების საბოლოო შეფასებების ანალიზით; ვ) კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებით;

**შეფასების პირდაპირი მეთოდების სამიზნე ნიშნულები.** სასწავლო კომპონენტში 80 ქულა ან მეტი უნდა მიიღოს სტუდენტების არანაკლებ 70%-მა, 51-79 ქულა - 28%-მა, ხოლო 0-50 ქულა - 2%-მა. სასწავლო კომპონენტებით შეფასება მოხდება მე-8 სემესტრის დასრულების შემდეგ.

**შეფასების არაპირდაპირი მეთოდების სამიზნე ნიშნულები.** კურსდამთავრებულის თვითშეფასებისას კურსდამთავრებული თავად აფასებს რამდენად მიაღწია ამა თუ იმ სწავლის შედეგს. ამ შემთხვევაში სამიზნე ნიშნული არის შემდეგი: 80 ქულაზე ან მეტად უნდა შეაფასოს შედეგზე გასვლა სტუდენტთა არანაკლებ 70%-მა, 51- 79 ქულა – 28%, 0-50 ქულა – 2%. დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულის შეფასებას დამსაქმებელი აფასებს რამდენად მიაღწია კურსდამთავრებულმა ამა თუ იმ სწავლის შედეგს. ამ შემთხვევაში სამიზნე ნიშნული არის შემდეგი: 80 ქულაზე ან მეტად უნდა შეაფასოს შედეგზე გასვლა დამსაქმებელთა არანაკლებ 70%-მა, 51-79 ქულა – 28%, 0-50 ქულა – 2%.

სწავლის შედეგების შეფასებისთვის პროგრამის კომპონენტების სათანადო სწავლების მეთოდები:

სწავლის შედეგი №1: აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს, პრინციპებსა და ცნებებს იმ ფართო თეორიული ცოდნის საფუძველზე, რომელიც პროგრამაზე სწავლის პროცესში მიიღო.

სასწავლო კურსი	შეფასების მეთოდი
დიპლომატიური ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	პრეზენტაცია

სწავლის შედეგი №2: მოიძიებს საჭირო ინფორმაციას, დოკუმენტაციასა და სამეცნიერო სიახლეებს საერთაშორისო ბაზებიდან/ბიბლიოთეკებიდან მოხსენებებისა და პრეზენტაციების მოსამზადებლად.

სასწავლო კურსი	შეფასების მეთოდი
დიპლომატიური ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	პრეზენტაცია
საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	ქვიზი
შედარებითი პოლიტიკა	პრეზენტაცია

სწავლის შედეგი №3: ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული ინსტიტუციური, პოლიტიკური, დიპლომატიური, სამართლებრივი, ეკონომიკური და ინტეგრაციული პროცესების იდენტიფიცირებას.

სასწავლო კურსი	შეფასების მეთოდი
ქართული დიპლომატია 1	პრეზენტაცია
ქართული დიპლომატია 2	პრეზენტაცია
საერთაშორისო ორგანიზაციები	პრეზენტაცია
საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 1	პრეზენტაცია
საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 2	პრეზენტაცია/რეფერატი
დიპლომატიური ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	პრეზენტაცია
საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	ქვიზი
შედარებითი პოლიტიკა	პრეზენტაცია

**სწავლის შედეგი №4: ანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებულ გამოწვევებს, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებსა და შესაძლო შედეგებს და აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს.**

სასწავლო კურსი	შეფასების მეთოდი
ქართული დიპლომატია 1	პრეზენტაცია
ქართული დიპლომატია 2	პრეზენტაცია
საერთაშორისო ორგანიზაციები	პრეზენტაცია
საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 1	პრეზენტაცია
საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 2	პრეზენტაცია/რეფერატი
დიპლომატიური ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	პრეზენტაცია
საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	ქვიზი
შედარებითი პოლიტიკა	პრეზენტაცია

**სწავლის შედეგი №5: ამზადებს ანალიტიკური და სხვა სახის ნაშრომებსა და დოკუმენტებს, როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე, მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.**

სასწავლო კურსი	შეფასების მეთოდი
კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	პრეზენტაცია
საერთაშორისო ორგანიზაციები	პრეზენტაცია
დიპლომატიური ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	პრეზენტაცია
საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	ქვიზი
შედარებითი პოლიტიკა	პრეზენტაცია

**სწავლის შედეგი №6: მონაწილეობს საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური საკითხების განხილვასა და დისკუსიებში.**

სასწავლო კურსი	შეფასების მეთოდი
ქართული დიპლომატია 1	პრეზენტაცია
ქართული დიპლომატია 2	პრეზენტაცია
საერთაშორისო ორგანიზაციები	პრეზენტაცია
დიპლომატიური ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	პრეზენტაცია
საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	ქვიზი
შედარებითი პოლიტიკა	პრეზენტაცია

**სწავლის შედეგი №7: გეგმავს უწყვეტ პროფესიულ და კარიერულ განვითარებას.**

სასწავლო კურსი	შეფასების მეთოდი
საერთაშორისო ორგანიზაციები	პრეზენტაცია
საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 1	პრეზენტაცია
საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 2	პრეზენტაცია/რეფერატი
დიპლომატიური ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	პრეზენტაცია
საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	ქვიზი

**სწავლის შედეგი №8: იზიარებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დამკვიდრებულ ეთიკის ნორმებს და მათი გავრცელების ხელშეწყობის პასუხისმგებლობას.**

სასწავლო კურსი	შეფასების მეთოდი
ქართული დიპლომატია 1	პრეზენტაცია
ქართული დიპლომატია 2	პრეზენტაცია
კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	პრეზენტაცია
საერთაშორისო ორგანიზაციები	პრეზენტაცია
საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 1	პრეზენტაცია
საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 2	პრეზენტაცია/რეფერატი
დიპლომატიური ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	პრეზენტაცია
საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	ქვიზი
შედარებითი პოლიტიკა	პრეზენტაცია